

# მწყვეტისამ



მე გარ მწყვეტი კეთილია: მწყვეტისან კეთილმან სული თვისი  
დაჭრების ცხოვართაობის. (ითა. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმებულია. ესრუთ იყოს სიხარული  
ცათა შინა, ერთიანთვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშერალნი და ტვირთ-მიმენი  
და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—23).

№ 8

1883—1894

30 აშშაბად.



ქრისტე აღსდგა!

მრისცეს აღდგომისა გამო.

(საუბარი ხერთონის მთავარ-ეპისკოპოსის ინიციატივა).

წ. ამბობის მედიოლანელი, როცა საუბარის  
იწყებს ქრისტეს დაბადების შესახებ, ამბობს, რომ  
ამ ღრივან ღვე თან-და-თან მატულობს  
და მასთან ერთად ძლიერდება სულიერი ნა-  
თელი, რომელმაც ამოაშექა ბეთლემიდამ და  
თავისი ძლიერი სხივები მოჰქონდა მთელ  
ღვებიწასო. ჩვენც, ჩვენის მხრით, მმანო,  
დაჭრებარიტებით შევიძლია ვთქვათ, რომ  
ქრისტეს აღდგომის დრო არის ის ხანა წლი-

სა, როცა მთელი ბუნება ახლდება და იღვიძებს ზამთრის სიცივისაგან. როცა „ტამრის ფარის და დამ“ შესცემი გაზაფხულს, უნებლივთ ხედავ მასში მომასწავებელ ნიშანს, რომლითაც ბუნება ეკველ წლობით ეგებება კოჯორეთისა და სიკვდილის დამთრგუნველს—მაცხოვარს. ქრისტეს ჯვარცმა და ვნება მოხდა გოლგოთაზე ერთხელ, ვინაიდგან მაცხოვარი მხოლოდ ერთგზის მოკვდა; ხოლო სასიხარულო შედევნი ქრისტეს აღდგომისა ეოველთვის მეორდებიან, ვინაიდგან ქრისტე, რომელიც აღსდგა მკვდრეთით, აღარა მოკვდეს (რომულ. 6, 8). მაცხოვარს შეეძლო მომკვდარიელ და აღმგარიელ წლის სხვა რომელიმე დოსტაც; მაგრამ აღსდგა, სახელდობ, მაშინ, როცა მთელი ბუნებას შეუძლია მიეცებოს მას (მაცხოვარს) თავისი განახლებულის სახით.

დიალ, მართლაც, ვისი მიეცება უფრო შეჭვერის ბუნებას თავისი განახლებული სახით?—თუ ბუნებაში მისი მეფის—კოჯორეთის დათრგუნვის შემდეგ კიდევ დარჩა რაიმე წესი, თუ ზამთარს ეოველთვის თან მოსდევს გაზაფხული, ეოველივე ამაბეს ანიჭებს ბუნებას მხოლოდ ის, რომელიც არის ცხოვრების მომნიჭებელი, მეორე ადამი, რომელმაც, გადაწევითა რა აღეხოცა ცოდვები პირველი ადამისა, მამინვე, მისი შეცოდების შემდეგ, აღიღო ხელში ის კვერთი მთავრობისა, რომლის აღება აღარ შეუძლო ჩვენს უბედურს მამათ-მთავარს. აგრეთვე, თუ ბუნება შემდგომ მრავალი მოკლე დოკებითი განახლებისა, გაზაფხულის და ზაფხულის მეონებით, ოდესმე იხილავს თავის თავზე გაზაფ-

ხულს, რომელიც ეოველთვის თავის დორზე იწევება, შეიმოსება ხოლმე ედემის მშენიერებით, ეოველივე ამას ახდენს მასში არა სხვა რაიმე მალა, არამედ ის, რომ უფალმა თავისი სისხლით ჯვარიდგან განსწმინდა მაჟლი დედამიწა და ბუნების ეოველივე არსებას მიანიჭა მალა განახლებისა და უკვდებისა. და ამიტომაც ბუნება ვალდებულია უმეტესად მიეცებოს თავისი აღდგომით მაცხოვარს, რომელმაც თავისთან ერთად აღადგინა ეოველივე, როგორც გალობს წმიდა ეკლესია. ბუნების აღდგომისა და ქრისტეს აღგომის ძორის არის კავშირი არა მარტო დროით, არამედ საქმითაც. ბუნება ახლდება ეხლა დოკებით, ვინაიდგან აღსდება დღეს მისი აღმდგენელი—მაცხოვარი, და ამის გამო იგი აღსდგება ოდესმე საუკუნოდ.

ასეთი დამოკიდებულება გაზაფხულსა და ჩენს დღესასწაულობრივი შორის აორეცებს, მმანო, ამ დღესასწაულის სიხარულს და გაზაფხულის ციმშენიერებაც. აღგომა უკვდისა უფრო სასიხარულო ხდება ჩვენთვის, როცა თვალწინ ვიდგენთ, რომ ქრისტეს აღგომას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კაცთა ნათესავისათვის, არამედ ქრისტეს აღდგომის ძლიერება ვრცელდება მთელს ბუნებაზედაც. გაზაფხულს ენიჭება რაღაცა საღმრთო სახე, აქედან ცხადია, რომ ბუნების განახლება წარმოსდგება იმავე არსებისაგან, რომლისაგანაც წარმოსდგა ჩვენი სულიერი განახლება; ცხადათ ვხედავთ, რომ ბუნების განახლებაც არის ნაეოფი გოლგოთის გამოხსნისა. ამის შემდეგ უყვალასათვის ცხადი უნდა იყოს, როდესაც ეკლესია გალობს, რომ

ქრისტეს აღდგომით გახარებულია „ცა და ქვეებანა და უფსკრული.“ ჭემარიტად რომ აღდგომა ქრისტესი მსოფლიო დღესასწაულია, ჯინაიდან გოლგოთაზე, მოციქულის სიტევი-საებრ, მოხდა შერიცება დმტრთსა და ქვეე-ნასა შორის.

მაგრამ, მმანო, ეს მსოფლიო მშვიდობა აგვისტორდება ჩვენ, თუ არ ვეცდებით, რომ ეს მშვიდობა დაგიმკვიდროთ ჩვენს კულტი! ჩვენს გარშემო უოგელივა ახლდება და ჩვენ კი ისე-თინივე დაგრძებით, როგორებიც ვიგავით, თუ არ ვეცდებით, რომ განვახლდეთ. აბა, შეხე-დეთ ბუნებას: დადგა გაზაფხული მთელი ლედამიწისათვის, უოგელივა ჰევავის და მშვი-ნიერდება, ხოლო გამხმარი ხეები ეხლაც შეიმუშავება და სახარელი სახახავები არიან და თავისი სასით აუშნოებენ ბუნებას სიმშვინე-რეს. ასეთივე არიან ცოდვილთა სულიც: იგინი, გამხმარ ხეების შეგავსად, მაშინაც შეკვდარნი იქნებიან, როცა კი უოგელივე გა-ნახლდება. ამიტომაც ედემში უოგელივე ღვთის სასიამოქნოდ უნდა იევეს მორთული, წინა-აღმდეგ შემთხვევაში ცოდვილებს ისე მოქარი-ბიან, როგორც ეპურობიან მებარეები გამ-შმარ ხეებს. ესე იგი მათ მოსჭრიან და დასწევენ ცეცხლში,

ამიტომ საჭიროა, მექო, რომ წინ-და-წინვე უსათუოდ განვახლდეთ, ვსუათ სასმელი ცხოვრებისა, აღვიგოროთ ღვთის მადლით, ვიწ-ვოთ კეთილი ნაუოფის მოტანა; საჭიროა აქვე აღვსდეთ, რომ იქ არ მოვყვეთ საუკუნო სიკედილით!

ზოგიერთი საერთო ურნალ-გაზეთების უნებ-ლიეთ შეცდომათა გამო.

დიდი ხანი არ არის, რაც საერთო ურნალ-გაზეთებმა ერთი კეთილი საქცელი შემოიდეს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ უკელა ეს ურნალ-გაზეთები ამ ბოლო ხანს, საეკლესიო ღილი დღესასწაულების გამო თავიანთ მკით-ხველებს მოუთხრობენ ხოლმე ამ დღესასწაულ-თა ისტორიას, მათ მნიშვნელობას და დოლმა-ტიურ სწავლა-მოძღვრებას. ეს საქციელი სწო-რედ რომ გეთილი და პატიოსანია. მაგრამ, სამწუხარიდ, ამ სადღესასწაულო მოთხრობათა ავტორები ხშირად იცეთ შეცდომაში ვარდებიან, როგორი შეცდომაც მოუვიდა ერთ გრაფინიას. ამ გრაფინიამ ერთ ოჯახში ქეიფობისა და დროს გატარების დროს ურადღება მიზცია ერთ უმაწვილ კაცს, რომელმაც ეს გრაფინია მოხიბ-ლა თავისი მშვინერი თამაშით, ოხუნჯობით და სიმღერით. ეს ახალგაზდა კაცი იყო სემი-ნარიაში კურს დამთავრებული, მაგრამ მდვდლად გურთხევაზე უარს ეუბნებოდენ. როცა გრა-ფინიამ შეიტყო ამ უწაწვილის ვინაობა, ძლიერ შეებრალა იგი და მოინდომა, რომ მისთვის შეუამდგრამლობა გაეწია მდვდელ-მთავრის წი-ნაშე. გრაფინიას ბევრი არ დაუგვიანე-ბია, იგი ეტილით მიბრძანდა მდვდელ-მთავართან.

— რაზე მობრძანებულხართ, ბ. გრაფი-ნიავ, ჰეითხა მდვდელ-მთავარმა.

— ერთი თხოვნა მაქს, მეუფელ, და სრუ-ლი იმედი მაქს, ამ თხოვნას შეიწუნა-რებთ და კილეც აღმისრულებთ, მოახსენა გრაფინიამ.

— რა თხოვნა გაქვთ? ჰეითხა მდვდელ-მთავარმა.

ქართველი სტუდია

ସରଫ୍ରାମିସା ଶ୍ରୀମି, କରିବାଟି ପାଇ-  
ବୋଯାର, ନିର୍ମଳେଖିନ ଉତ୍ସାହାଲ୍ୟରେ ପ୍ରାଣ  
ଦୀନୀ ଲା ହୃଦୟ ପ୍ରୟୋଗିତାମା ଥିଲା  
ଲାଗୁ ମଧ୍ୟର ଚିମିତିତା ଘୟାନିତା ଲୋ-  
ଭୋବ ଶ୍ରୀମାତା.

କରିଲୁଣ୍ଟି ଅମ୍ଭାଦିତ  
ପ୍ରକଳ୍ପରେ ନିଯମିତ  
କରିଲୁଣ୍ଟି ଏହାରେ  
କରିଲୁଣ୍ଟି ଏହାରେ  
କରିଲୁଣ୍ଟି ଏହାରେ

•ପାଲୁଙ୍କର ଉତ୍ସର୍ଗ ଲା ପାଞ୍ଚମି  
ନିର୍ବିଦ୍ଧ ପ୍ରାୟଲିଙ୍କ ଶ୍ରୀରାମ ପିସର, ଲେ  
ଗ୍ନତ୍ରମ୍ଭର ପିଲାଲୁଙ୍କର ଖଳର, କଣାଗ-  
ଶାହାନ ପିଲାର୍ସ.

ବେଳାନ୍ତରୁ ମହୁପୂର୍ଣ୍ଣ କ୍ଷେତ୍ରରୁ, ଶିଖିଲାରୁ ଏବଂ  
ଶିଖିଲାରୁ ଦା ଉତ୍ତାରିତ୍ତା ପ୍ରସିଦ୍ଧ ଏବଂ  
ଦାର୍ଢିଲା ଶିଖିଲାରୁ ପ୍ରାଚୀନମର୍ମାଦା.

ପ୍ରମାଣ ପାଇଁ କାହାରୁଷ୍ୟରେ  
ତେଣୁ ଅନ୍ତରେ ଲାଗିବା ଦେଇ  
ଦେଖାଯିଲୁବା.

ପ୍ରଦୀ ଅମ୍ବ ଲୁହ୍ନୀ, ନାନାକ୍ଷଣ ପ୍ରଦୀ,  
ଶ୍ରୀ ଲାଖିନ, ଗୋକୁଳ ଲେଖଣ ଦ, ପିତ୍ତୁର୍ମାଣିଦୟତା  
ଏମିବୁ ଶ୍ରୀନ୍ଦା.



— თქვენ ეპარქიაში, მთახსენა გრაფინამ, არის ერთი სემინარიელი, რომელსაც, კაი ხანია, რაც სწავლა დაუმთავრება სემინარიაში, მაგრამ მღვდლობის მიღებას კა ვერ ღირსებია.

— თქვენ საიდამ იცნობთ ამ სემინარიელს? ჰერიტე მღვდლელ-მთავარმა გრაფინიას.

— ამას წინეთ, მთახსენა გრაფინიამ მღვდლელ-მთავარს, მე მიპატიურებული ვიყავი ერთ აჯახში ვაჩშამზე. ამ ვაჩშამზე ის სემინარიელიც იუ. მან თავისი თამაშობით, ოხენჯობით და სიმღერით უცელა იქ დამსწრე ვირთა უკრალლება მისიზიდა. მან სიცილით დაგვრცება თავისი მოსწრებული ოხენჯობით და თამაშობის დროს მშვენივრად ასრულებდა «დერისორის» მთავალეობას. ამ სემინარიელმა თავისი საქციელით, თითქმის, უცელა მანდილოსნები მოხიბლა. ბრალია, თქვენო მეუფებავ, რომ ამისთანა ნიჭიერ კაცს მღვდლობის ადგილი ვერ უშოვა და უკიდურეს სიღარიბეშია. იმედი მაქვა, ჩემს შემდგომლობას ვატრივა სცემთ.

ჭმ, დაფიქრდა მღვდლელ-მთავარი ტბოლის უპასუხა გრაფინიას: კარგი, თქვენი თხოვნა იქნება ადსრულებული...

გრაფინია სრული დამეჭებული შინ წაბრძანდა. მეორე გვირას ადგილობით ეპარქიის უწყებებში, სავათა შორის, გამოცხადებული იუ შემდეგი: «№№ სემინარიელი (რომლის გურთხევასაც შეამავლობდა გრაფინია) შეუფერებელი უთვა-ქცევისა გამო სრულიად დათხოვ-ნილ იქმნა სასულიერო უწყებიდან».

როდესაც ეს ამბავი შეატყობინეს გრაფინიას, იგი ძლიერ გაგირდა, და ვერ მიხვდა, რომ მისი ქება ამ სემინარიელისათვის დამამცირებელი და წინააღმდეგი იყო!..

როდესაც გულდასმით კითხულობ კაცი ზოგიერთ საერთ უკრალ-გაზეთთა მსჯელო-

ბას ქრისტეს შობის, მისი აღდგომის, ამაღლების, სულის წმიდის მოსვლის, მოციქულთა ტემთავარ მთწამეთა დღესასწაულების შესახებ დღლმატიურის მხრით, სწორეთ ამ გრაფინიას სემინარიელისათვის შეამდგომლობა გაგრძნდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ გაზეობის ზოგიერთ თანამშრომლებს განგები კი არ მოსდით ესეთი შემცდარი მსჯელობა სენებულ დღესასწაულების შესახებ, არამედ ეს შეცდომა აისხნება იმითი, რომ მათ კარგად შესწავლილი არა აქვთ საჯვთის-მეტეცელი საგრძნები და ჩვენი სარწმუნოების დღლმატები. ამ უცოდნარობის გამო იგინი ხშირად სულ სრვა მნიშვნელობას აწერენ ზოგიერთ დღესასწაულ ებს და თავისებურად განმარტებენ!.. ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია ჩვენი ნათევამის დასამტებებლად დავასახელოთ ზოგიერთი საერთ ეროვნულ-გაზეობის შემცდარი აზრი საეკბლესით დიდ დღესასწაულების შესახებ, ვინაიდგან ამაზე ბაასი ძლიერ შორის წაგვიუვანდა.

ჩვენიც მხრით სენებული უკრალ-გაზეთების რედაქციებს ურჩევთ ამ საქმეში მიბაძონ უკრალ «კვალი»-ს რედაქციის მშვენიერ და გონივრულ საქციელს. ამ უკრალის რედაქციას საეკბლესით დღესასწაულების აღწერის დროს მოჰკვას სალმრთო წერილის ნამდვილი ციტუცები და ამიტომაც იგი არასოდეს შეცდომაში არ ჩავარდება. შეიძლება მწერალმა მშვენივრად იცავდეს ფელეტონების და მეთაური წერილების შედგენა, მაგრამ ჩვენი ეკლესიის დღლმატების შესახებ, როგორც ჩვენში იტუვიან ხოლმე, ერთი ინჩი-ც არ იცოდეს.



შედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის  
მასწავლებელთა საუკრადდებოდ.

(ტერილი მუშავე).

ესისაც ცოტათი მაინც თვალ-ყური უდევნებია ჩენებური სახალხო სკოლებისთვის, ის უცხველია შენიშვნელი, რომ რუსული ენის სწავლება, ბეკრიან ამ გვარ სკოლებში, უფრო ამ უკანასკნელ დროში, წამების გზაზე არის დაყენებული. ჩშირად გაიღონებთ ბეკრის ისეთს უკულმართობას რუსული ენის სწავლების შესახებ, რომელიც არა თუ სპეციალურად მომზადებულ მასწავლებელს, არამედ იმასაც არ ეპატივა, ვისაც პედაგოგიკა თვალითაც არ უნახავს. დღეს იშვიათი მოვლენა არ არის იმისთვის ამბები, რომ ზოგი, გადაბირების გზაზე დაყენებული მასწავლებელი, ჩენებურს სოფლის ბაეშეს სკოლაში შემოსელის დღიდგანვე რუსულად აწყებინებენ წერა-კითხებს, ზოგი კი ქართულ რუსულ წერა-კითხებს ერთსა და იმავე დროს ასწავლიან, ამ უწნაურს ხერხს სწავლებისა, რასაც ირევლია, მოჰყება არა საკირული შედეგი—ბაეშე წლის განმავლობაში ვერც სამშობლი ენაზე სწავლობს წერა-კითხებს რიგიანად და მით უფრო ვერც უცხო ენაზე იგნებს რასმე—ქართულ სიტყვებს ნახევარს რუსული ასოებით და ჩახევარს ქართული ასოებით სწერს—ბაბილონის არეულობა სწორედ ამასა ჰქიან. ვინ მოსთვლის უელა იმ ცუდს შედეგს, რომელიც მოსდევს უცხო ენის უკულმართად სწავლებას. ეს უკულმართობა ესმის უცხლას, ვისთებას სკოლა არ შეადგენს განუყენებით საგანმანათებო არარეალურობას, სასისხლის სამშობლო, სასისხლ-ხორცი საქმეს, რომლისთვისაც ტანჯერი და უფრო უცხო ენაში მოვალეობა არ არის არამედ ამ ენის აზრის და სულის გაცნობაში. ეს არის უმთავრესი და უპირველესი მიზანი უცხო ენის შესწავლისა; ეს მაღალი მიზანი ისე უნდა იყოს დაყენებული და წარმართოლი, რომ ამ მიზნისადმი მისაღწევად მიღებული საშუალებანი არაოდეს ულარს და მატუურს გზას არ უნდა მიმართოდეს და რაც უნდა ეძებდეს უპირატესობას, თავისთვის სხვა ამ გვარივე მაღალი მიზნის საზიანოდ.

უცხო ენის უფროობდ სწავლების დაწყება აჩე-რებს ყმაწვილის გონებით გამოფხიზლებას, წესიერს განვითარებას, ამიტომ რა გასაკირველია, რომ ჩენენი სასალხო სკოლების უფროს განკოფილების მოწავები ვერ იჩენენ შესაფერის გონება-გასწილებას, განვითარებას. რუსების წრიბილი პედაგოგი უშინესი ამბობს—ბაეშეს რომ უცხო ენის სწავლება დაწყებინოთ, როდესაც დედა-ენაზე კარგად ეტაც კი კითხულობს—განა ეს სწავლის სურვილის დასაწყისშივე მოკველა არ იქნება? ყველა ხალხის წარჩინებული ძეელი თუ ახალი პედაგოგები სულ იმ აზრისანი იყენენ და არიან, რომ ვიღრე უცხო ენის სწავლება, დავაწყებინებდეთ ბაეშეს—საჭიროა საფუძვლიანად შეესწავლოთ სამშობლო ენა და როცა ბაეშე ცოტათი თუ ბეკრად გამართება სამშობლო ენაში, დედა-ენაზე წერა-კითხებაში, მაშინ შეიძლება ბაეშეს უცხო ენის სწავლებაც დაგაწყებინოთ—შხოლიდ ყოველოვის უნდა გვასხოვდეს, რომ ყოველივე სწავლის გადაცემა უცხო ენის სწავლების დროს ასე უნდა იყოს დაწყებული, რომ ბაეშეს ყოველოვას შეეძლოს ჰქონდეს ნამდილი, ცხალი და სწორი წარმოდგენ იღლობა სასწავლო საგანზე—მხოლოდ ამ ნარი შეგნებულად შესწავლა რუსული ენისა არა თუ არ აენტს ქართულ ენას, არამედ ძრიელ დაეხმარება მის წარმატებასა და აყვაებას,

სამართლიანად ამბობს ჩეენი ცნობილი, პატიუცემული ჰედაგოგი ი. ს. გოგებაშვილი, რომ ამ აიგზე დაეყნებული წარმატება მოზარდ თაობას შემოქმედებით ძალასაც გაუძლიერებს, ენის ალლოსაც განუკითხებს, სახსოვარსაც განუმტკიცებს, შედარებითი ნიჭისაც უკარჯიშებს, რადგანაც ყოველს ნაბიჯზე დუცხო ენას დარჩებს დედა-ენასთან და უხსნის მათ-შორის მსგავსებასა და განსხვავებასა, ენის ბუნებას ღრმად შეათვისებინებს და ორკეც ნამდგილ მეტყველებას მიანიჭებს» (ძირითადი უკუღმ. გოგებაშვილისა გვ. 36).

პირველი ვარჯიშობაზე უცხო ენაზე ყოველთვის უნდა წარმოებდეს ბაეშეის მიერ უკვე ცნობილ მასალაზე, ამიტომ რომ არ დავატანოთ ძალა ბაეშეის გონებას, რომ ის ერთსა და იმავე ღროს იძულებული არ იქნას, თავისი უურადლება დაანაწილოს ორს უცნობ საგანს შესა, რის გამო გამოწვევული სუტი უურადლება. უნდოის ბაეშეს სასწავლო მასალის ადეიტად და ჩქარად შეთვისებას. აგრეთვე, რომ სწავლების დროს მუდამ მიეყენოთ პედაგოგიურს თანადათანობას, იმ პედაგოგიურს კანონს, რომელიც ამბობს, გადადი ცნობილამ—უცნობზეო—საჭიროა პირველადევ შედაწარმოთ ბაეშეს მხოლოდ ის ფორმები უცხო ენისა, რომლის მსგავსი მოიპოვება სამშობლი ენაში. შემდეგში კი, როცა ბაეშეი ცოტათ თუ ბევრად შეისწავლის ლექსიურად საგნების, მოქმედების, თვისებათა და სხვის სახელებს, შეისწავლის უცხო ენაზე წერა-კითხვასაც, შეიძლება მიექცევს მასწავლებლის უურადლება უცხო ენის სწავლების ღროს იმ ფორმებს და წესებსაც. რომლითაც უცხო ენა განირჩება მშობლიური ენისაგან—აგრეთვე უცხო ენის შესახებ კანონის დადგენის დროსაც შედარებითი მეთოდით დედა-ენასაც უნდა მიექცეს შესაფერისი უურადლება. რუსული ენის სწავლება ჩეენ სკოლებში, მაშინ იქნება წარმატებითი გზაზე დაეყნებული, როდესაც ამ საგანს ასწავლიან ბაეშებს თვალსაჩინოდ. კომენტი ამბობს, რომ სიტყვები უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ საგანთან, ნივთებით შეკრთხით, ხმალს აქეც გარედ ქარქაში—ხის გულს—ქერქი, კანიხილს—ნაჭუჭი—ლვინოს ყიდულობენ—გადაქვთ ბოჭკებით, ტიკებით. რა არის სიტყვათ, თუ არა სამოსელი, გარეთი კანი—საგნისა თუ რომელიმე ნივთისათ, მაშასადამე, განაგრძობს კომენტი, როდესაც და რომელ ენასაც

უნდა ესწავლიდეთ, თოთქმის სამშობლო ენის სწავლების ღროსაც—კი, აუცილებლად საჭიროა თვალსაჩინოდ ეუწევებულეთ შეძლებისა და მოხერხების გვარად ყველა საგნებს, ნიერებს, მოქმედებებს, რომელთა სახელსაც ვასწავლით; აგრეთვე საჭიროა და სასარგებლო, რომ მოწაფეებსაც შეძლოს გამოხატვა სიტყვებით იმისი, რასაც ისინი ჰქონდენ, ისმენენ, შეეხებიან—ერთის სიტყვით, რომ ენა, რომელსაც ბაეშეი წარმოადგინებს, უნდა გაიხსნას, განვითარდეს მულმივ მეტყველებასთან ერთად. ამ ნაირად, ამბობს კომენტი, შეიძლება დავადგინოთ ამ ნაირი კანონი—ეისაც როგორ ესმის, გაეგება, იმნაირად ეწევე ლაპარაქსაც, მეტყველებასაც—პირიქით ეინც არაზედაც ლაპარაქობს, უნდა კარგად ესმოდეს და გაეგებოდეს კიდეც. არავის ნება არ უნდა მიეცეს ლაპარაქისა იმ საგნის შესახებ, რაც მას არ ესმის, ან არ შეუძლიან გამოთქვას, რადგანაც ეისაც თავისი აზრის გამოთქმა არ შეუძლიან, ის ჰგავს ანდრიანტს, გამოქანდაკებულ სახეს და ეინც ყედობს უთავობალოდ, შეუგნებლად —ის თუთუყუშია. ჩეენა ეზრდით მომავალ თაობას, აღამიანებს და უნდა ცეკვილობდეთ გაზარდოთ ისინი ისე, როგორც სასარგებლოა მომავალი თაობისათვის—ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ უცხო ენის სწავლების დროს, განსაკუთრებით პირველ დაწყებით სკოლებში, მუდამ სიტყვა და საგანი, საგანი და სიტყვა იელიან სწორის ნაბიჯით.

ჩეენებურ სოფლის სკოლებში რუსული ენის შესაწავლებლად, განსაკუთრებით დასაელეო საქართველოში, თითქმის რადენიც სკოლაა, იდენი სხვა და სხვა ხელსამძღვანელობები არსებობს. აქ იპოვით უოლცერის წიგნებს, ბუნაკოვისას, ბარანოვისას, პურიკოვისას, უშინსკის «როდიოე სლოვო», ეოლოტოვსკისას, შესანიშნავ კედაგოგის შესანიშნავ «კურს». საც, გოგებაშეილის წიგნსაც და კიდევ სხვას. ერთას სიტყვით მეტი არ იქნება ქსთქათ, რომ, რაც ჩეენსა და რუსულ საყმაწვილო მწერლობაში რუსული ენის შესაწავლად სახელმძღვანელო წიგნები კა მოიპობა, მოწონებული იყო მთავრობისაგან თუ არა მაინც—და მაშასადამე სასარგებლოა თუ მატებებელი ჩეენებურ სკოლებისათვის, საღაც მთავრობა ეალგებულია უურადლებას აქვევდეს, როგორც სხვა საგნის, ისე სახელმწიფო ენის რიგიანად შესწავლასაც, ყველას ამ გვარ წიგნებს, ვამბობ, ბაზარი აქეც ჩეენებურ

სკოლებში — და ამასთავად უშედეგიც მოჰყება, მგონია, ყველასათვის ცხადი იყოს, არ ვიცით, რამდენად პრმა უნდა იყოს და უვი ცი მასწავლებელი, რომ ბევრ ამ ნაირ წიგნების უფარგისობას ვერ ხედავდეს ჩევნებურ სკოლებში — პირიქით ბევრი ზემოხსენებული სახელმძღვანელოთავანი ახლა რუსულ სახალხო სკოლებშიდაც არ იხმარება სახელმძღვანელოდ, სასწავლო წიგნად. ასეთი შესარიშნავი პედაგოგის წიგნი, როგორიცაა «русское слово» — უშინსკისა, ისიც ამ ფამად უარგისად არის ცნობილი რუსულ სახალხო სკოლებში და ჩევნები კი ისეთ სამაგალითო სკოლებშიდაც კი ხმარობენ მას სასწავლო წიგნად, საუკუ ვარჯიშობენ და სწავლობენ გაკეთილების მიცემას ახალგაზრდა მომავალი სოფლის მასწავლებლები. ჩევნებური სოფლის სკოლის მასწავლებლებში ერთობის, ერთის მიზნისადმი, ერთობილის, შეერთებულის ძალით მისწრაფების მაგივრად, სამწუხაროდ, ამ ფამად ბაბილონის კაშის შენებას ვერდევთ — ამისთანა არევდარევა, ასაკერძელია მასწავლებლების მიზეზია და არა სხვისი. ჩევნ სკოლებში სახელმწიფო ენის შესასწავლად საჭიროა განსაკუთრებული, ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული და პედაგოგიურად შემუშავებული სახელმძღვანელო წიგნი. ამისთანა წიგნი დღეს, ჩევნდა სასიმრენოდ შორს საძებარი არა გვაქს. დღეს ცოტად თუ ბევრად შეგნებულმა მასწავლებელმა, არა თუ გამოცდილებიდგან, ისეც იცის, რომ «русское слово», შედევნილი ჩევნის პატიცემულის პედაგოგის ი. გოგებაშეილის მიერ, არის საუკეთესო სახელმძღვანელო წიგნი რუსული ენის სწავლებისათვის ჩევნს სკოლებში; მხოლოდ ეს წიგნი არის სამოსწავლო მთავრობის მიერ მოწონებული სასწავლებელ წიგნად ჩევნებურ სკოლებში, მიუხედავად ამისა ბევრი ჩევნი სოფლის მასწავლებელი, რომელიც დიდად პასუხის მეტებითი, როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების წინაშე, ამ ღირსოვან წიგნს ყურადღებას არ აქცევს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი გოგებაშეილის წიგნი შედეგინილია თანახმად სამოსწავლით ილქის მზრუნველის მიერ გამოცემული სასწავლო გეგმის მოთხოვნილებისა, ყველა მასწავლებელმა უნდა იცადეს, რომ ეს გეგმა, რომელიც მოწონებული და დამტკიცებული იქმნა ნამესტნიკის მიერ 13 იანვარს 1881 წელს, წარმოადგენს სოფლის სკოლებისთვის საკანონმდებელო წიგნს, პედაგოგიურად საგულისხმიერს, სადაც რუსული

ენის შესახებ მასწავლებელი იპოვის საუკეთესო რჩევას. ეს სცნებული გეგმა ბევრი მასწავლებლის მიერ უყურადღებოდ არის მიტოვებული, მაშასადმე საკანონმდებლო წიგნის უარ ჰყოფა, შეაღვენს კანონის დარღვევას და თუ ეს ასეა, როგორი მასწავლებელი უნდა იყოს ის, რომელიც თვის მოწავლებას უჩვენებს მაგალითს საზოგადო კანონის უარ ყოფისას, დარღვევისას? ეს მკითხველისათვის მიგვინდება.

ლ. ბოცაძე.

### პედაგოგიკის ისტორიდეგან

#### ბაგშების აღზრდა დომში

(დასასრული ქინისტეს წინა დროის პედაგოგის ისტორია).

#### შლუტონი (50—120 წელს ქ'ნისტეს შემდეგ)

შესანიშნავი ნასწავლი პირი იყო. იმან დასწერა თხზულება: «de puerorum educatione» («ბავშვების აღზრდა), რომელშიაც აღზრდის შესახებ გაატარა ძერძნებული შეხელულებანი, დამშარებულობისას და ჭამონის იღებალზე. პლუტარხის აზრით; სამს პირობას აქეს დიდი მნიშვნელობა აღზრდის საქმეში. ეს სამი პირობა არის: ბუნება, სწავლება და გარჯოშება. კაცის ბუნება, მოკლებული განათლების სხივა, თავის-თავად ბრმა, — მარტო სწავლება, თუ ბუნებასთან არ არა შეერთებული, არაა საკმარისი, უინაიდუან მიზანს ვერ მიაღწევს; არც ვარჯიშობა სრული, თუ მას ნელს არ უწყობენ ბუნება და სწავლება, მწერის შემუშევებისათვის საჭიროა კაი ნიადაგი, კაი მიშის მუშა და კაი თესლი. ესევე ითქმის აღზრდის შესახებ; აქაც კარგმა ნიჭითა კარვი მწროთველი უნდა იშოროს და კაი თესლი — სწავლა მიიღოს. უპატრონოდ დაგებული მინდორი, თუდაც ძლიერ კაი ნიადაგის მქონებელი იყოს, გავერანდება. ესრეპ იღუბება რიტი, ღვთის ანაბარად დატოვებული, მოკლებული მწვრთნელსა და კაი სწავლასა.

დედამ თვითონ უნდა აწოვოს შეილა და ან, თუ თეთო არ შეეძლია ამ მოვალეობის შესრულება სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, უნდა აღმოარჩიონ

კეთილ-ზნეობიანი ძიძა; ბავშვები აგრეთვე უნდა უშორინ კეთილ-ზნეობიანი ამხანაგები. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი გამოვა ზნეობით დაცემული. ბავშვი აღრევე უნდა შეაჩეონ სადა, მარტივს ცხოვ-რებას, აარიდონ ფუფუნებას, გულის წყრომას, უნ-და შეაყეარონ სიმართლე და შეაძლონ სიცრუვე. მშობლებმა უნდა აჩენონ შვილს კეთილი მაგალი-თები; ნათია მიბაძეით ბავშვი კეთილს შეიყვარებს. ცემა-ტყეპას, წყრომა—გაჯავრებას და მუქარას არ შეუძლია ბავშვს სიმართლე და სიკეთო შეაყვარო.

ბეჯითობას სწავლაში ბავშვი შეეჩევე დარიგე-ბით, ჩაგონებით და არა ცემითა და სასტიკი მოპყრო-ბითა. ცემა და სასტიკობა ბავშვს სრულიად შეაზიშ-ლებს სწავლას და ბეჯითოპასა. სხეულის ვარჯიშუ-ბანი, გიჩნასტიკური მოძრაობანიც ძლიერ ჭრვა ბავშვის ტანმრთელობისათვის. ლიტერატურულ ნაწარმოებთა შესწავლის შემდევ ახალ-გაზღიბას ფილოსოფიაც უნდა შეასწავლონ. ფილოსოფია გვასწავლის ჩენ, თუ რა უნდა გვაყვარდეს და რა უნდა გვძულდეს, რა კეშმარიტება და რა სიცრუვე; — ის გვასწავლის ჩენ სიმდაბლეს ბედნიერების დროს. სულის სიმუკიცეს უბედურობის დროს. კაცი უავ-ლის ლონისძიებით უნდა ცდილობდეს ლვთაებას და ემსგაესოს. ლვთაება ყოვლად სრული არსება, — მასშიარ მოითხოვება არც რისხა და არც შური, — კაცი კი ცოდევილი არსება. იმან უნდა შეიგნოს თავისი თავი, გაიცნოს თავისი ხასიათი, და ცდი-ლობდეს შეძლებისა და გვარად ლვთაებას დაემსგავ-სოს.

მაგრამ არც ფილოსოფიას და არც კერძო პირების სწავლა-მოძლერებას არ შეეძლო რომი ეხსნა დალუპეისაგან.

თეთ „სტოკების“ სწავლა-მოძერების მიმდე-ვარნი არ ცდილობუნ შეეთანხმებიათ სიცყვისთვის საქმე, სტოკების აზრით, კაცი უნდა ცდილობდეს შეიძინოს საპარმე, შეიგნოს ლვთაებრივი და კაცობ-რივი და თეთი ცხოვრება, კერძო ინტერესები მსოფ-ლით კანონს, მსოფლიო ჰარმონიას შეუთანხმოს, კაცი გონიერი არსება და ამიტომ უგნურობას და თავ-ხდობას უნდა ერთდებოდეს. უმთავრესი მიზანი კაცის სიცოცხლისა არის კეთილ-სათნოება; ჯან-მრთელობა, სიმღიდე, დიდება არ შეაღვენო კაცის ბედნიერებას და არიან ჩქარა წარმავალნი; მათი მოხარება ასეც შეიძლება და ისეც, სასიკეთოთაც

და სახარალოდაც. კმაყოფილებაც კაცის ბედნიერე-ბის არ შეადგენს: ის არის ენებითი და არა მოქმე-დებითი მდგომარეობა სულისა. როგორც ვნებითი მდგომარეობა სულისა, კმაყოფილება ზნობ-თს ენერგიას აძინებს და თითქმის ჰკლავს. კეთილ-სათნოიანი კაცი არ ეძებს არც სიმღიდე. და არც ქება-დიდებას; იმას თავისს გულში ჭ სულში, თავისს სულიერს ბუნებაში უძევს—ბედნიერება, შინაგანი სკეთო.

სტოკების სწავლა მოძლერების მიმდევარი იყო ფილოსოფოს სენეკა, კაცი ფრია განათლებული დი ამასთანაც საშარელი პირმოონე, ფარისეველი. სენეკა თავის დროს საუკეთესო პედაგოგი იყო. იმას სურდა ახალთაობის გონიერი აღზრდის მეო-ნებით ზეაღვევინა რომის დაცემული საზოგადოებ-რიეთ ცხოვრება. აი რასა სწერს თავის დედას სენეკა: «საშინელი სენეკება ჩენი დროისა—ზნობითი ხრწილება შენ არ შეგხებია. შენ თვალებს გიპრმა-ვებინენ არა ძირითასი ქვები და სიმღიდე, არამედ უმაღლესი კაციაბრივული სიკეთენი. შენ აღზრდილი იყავი თანახმად ძელის ცხოვრების მეცრი და კე-თილი ჩეულებისა; ამისათვის შენ არ ბაძეიდი სა-შიშარს ახალს ცხოვრებას. შენ არა გქონდა რა სასირცეო შენის ბავშვების წინაშე ისე, როგორც აქეთ სხეა მედილურ და უსულო ქალება. კეთილ-სათნოება შეაღვენდა შენს საუკეთესო სამკაულსა. ცხადად სხანს აქ მოყვანილი სიტყვებიდან, თუ როგორ უსაყვედურებს სენეკა მედილურს და უსულო დედებს, რომელნიც არ სცილობდნენ შეილები რიგინად აღვარდათ.

მაგრამ ამათ იყო ქალაგება და მოძლერება რო-მის საუკეთესო მწერლებისა და პედაგოგებისა. ცხო-რება თავის ჩირით და წესით მიმღინარებოდა, რაც უფრო და უფრო წინ მიღიოდა გონებითი განვი-თარება რომისა, მით უფრო და უფრო იხრწნებოდა მისა ზნებითი ცხოვრება. ისტორიკოსის შლოსე-რის თანახმად, უნდა ეპთქვათ, რამ ზნებითი ხრწნილება რომისა რადი იყო შეცეგი მისი გო-რიბითის აღყევებისა. მიზეზი ზნებითის დაცემისა კვეყნის სიმღიდე-ქანების უთანასწოროდ განაწი-ლება ცუ. ასეთმა ქანებრივმა უთანასწორობამ ორს დიდ ნაწილად გაპრე რომის ერთი. ერთს ნაწილს სი-ლატ-კას და ულუკმა-ცურნაბის გამო მუდამ ცრეპლი დიოდა იმ დროს, როდესაც მეორე ნაწილი სიმ-

დიდრის გამო სიცოცხლით სტკებოდა. ერთს ხველი პურის ლუქმა საჭმელად არ ჰქონდა და მეორე იმავე დროს ათასი და ათი ათასი თუმნობით ხარჯავდა თითო სადილზე. მთ დრები ეძლევოდნენ ნაყროვანებას, ფუფუნებას და უყვარდათ სხვა და სხვა გახართობინ საშუალებანი. გრძელიძირობა, სხვა და სხვა ენებებთან შეერთებული, მდიდრებს უღერძებდა მაღას ხალახალი სიამონებისას, სიკებოებისას. გახშირდენ ბუნების წინააღმდეგნი მოქმედებანი, რომელთ სახელის ხსენებაც კი საირცხა. საცოდავ ყმებს სატრიკად ეცყრობოდნენ. მათის ხორცით შადრევანში მეოფ თევზებს ჰკენებავდნენ, — მოხუცებულა ყმა მ-ჰკავდათ ერთს კუნძულზედ, რომელიც მდინარე ტიტის შუა გულში იყო და აქ სტოვებდნენ. უპატრონონოდ და უშერწყოდ დაგდებული მოხუცებული შემშილით ჰკელებოდა ამ კუნძულზედ... უმაღლეს წოდებას სარწმუნოება აღარ ჰქონდა, — მხოლოდ მდაბიო ხალხი იყო ერთგული ღმერთებისა. რომას პანთეონში იყო შეკრებილი მოელის ქეცუნის კერპები, და რომაელი ერთად თავის კერპებთან სხვა ერის კერპებსაც ხედავდა და ამიტომ გული აცრუეა საწმუნოებაზედ და აღარ სწამდა ღმერთებს : ჩსებობა, თეთო ქურუმები (კრეც) ერთმანერთს რო შეხვდებოდნენ, შეცინებდნენ იმის ნიშან, რომ ერთმანერთისთვის ეთქვათ, ხალხს როგორ ვატყუებოთ. სარწმუნოების დაცემასთან ერთად განუიღდა საშინელი უსამართლობა; არაერი იყო მოყვარული სიმართლისა და სამართლისა. ქალებმა ხომ სულ დაიყიდეს სეინდისი და პატიოსნება. ერთს ქმარს ქალი არ სჯერდებოდა და ჰყავდა ხშირად ათი, ოცი და ოცდა ათი ქმარი. უკანონოდ შიბილების როცხი გამრავლდა; ბავშვის ხოცვა და ან სხვის კარზედ მიგდება ჩეეულებრივ მოელენად გაჟაიტება. ბერი საშინევე უსპობდა ჩასახულ ბავშვს სიცოცხლესა, რომ მშობიარობის დროს ტკივილით თავი არ შეეწუხებია. ცოლ-ქმური კავშირი შეიძულეს, ბავშვებს, ამ მომავალ მოქალაქეებს, ზიზლით უკერძოდნენ დედები... ისპაბოდა ოჯახობა, საფუძველი სახელმწიფოსი და საზოგადოებისა. —

ამასთანავე ერთად მთელი ერთ რომისა მოიცა უკიდურესის უიძღვების შემა ღრუბლებმა, — სასოწარკეთოლებამ მისი სული და გული შეხუთა და რაღაც შიშა ჩაგდო. ცრუ მორწმუნეობამ დაიჭირა

სარწმუნოების ადგილი, — თუმცა ხალხი ზნეობით იყო დაცემული, მაგრამ მის გულში როლი მამკვდარი შეგნება თვისის ასეთი მდგრამარეობის უკარგისაბისა, — განათლების, ზე-ადგომის სურვილი კიდევ ბეჟუტავდა კაციაბრიობაში, მაგრამ ყველა კი დარწმუნებული იყო, რომ კაციაბრიობას თავისთვალი, თავის საკუთარის ძალებით თავის ხსნა არ შეუძლია, ყველას სჯეროდა, რომ საჭიროა ზე-გარდამ შეელა, ზეცით მოსული წინააღმარეტყველი, ამ წინააღმარეტყველს კიდევ მოყლოდნენ, — «მესივების» რიცხვი გამრავლდა; მოელოდნენ შობას არა ჩეეულებრივის ყრმისას (ეირკილი) — ხალხისნობას თვალი აღმოსავლეთისკენ მიგყრო; იქიდან ელოდნენ ახალი შხის გამობრწყინებას. სწორედ ამ დროს, როდესაც იასეთ უნივერსო მდგრამარეობაში იყო ხალხისნობა, როდესაც ის მოვაგონებდა შდილრად მორთულ კუბოში ჩადებულ კაცის უსულო გვამსა და ლეშისა, მინდორზედ არწივების საჭმელად დაგდებულს, ლეკებრის ოც-და-ოთხს ბეთლემში მთვარიანს ლამეში გაისმა ცაში სანატრელი ხმა ანგელოზებისა «ღიღება მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშეიღობა და კაცთა შორის სათნოება». ამ შმამ ახარა ქვეყნას დაბადება კით მოელენილის წინააღმარეტყველისა, რომელსაც უნდა ძირეულად შეეცვალა კაციაბრიობის ცხოვრება და დაემყარებია ის ახალს საფუძველზედ. აღმოსავლეთში გამოჩენილმა არაჩეეულებრივმა ვარსკელავმა წარმართების მოგვების ახარა იქსოს დაბადება. წარმართობამ მას თაყვანი სცა თვისის წარმომადგენლების, მოგვების პირით.

იშვა ძე ღეონისა იქსო, და დადგა ახალი ხანა კაცობრიობის ცხოვრებისა, ძეველი აღთქმის ბელი აწმუნება ახალი აღთქმის ახალ განმაცხოველებელ აწმუნებად შეიცვალა. შეიცვალა აგრეთავ ბავშვების აზრიდის საქმეც ქრისტიანობის ზედ-გავლენის ძევშე.

ოდ. ფერაძე.

(შემდგენი იქნება).

ახალი მსხვერპლი მატუგარა სოფლის ექიმისა.

(წერილი ლორეშიდამ).

თუმცა ამ ცოტა ხანში ბევრნაირ ბოროტებას მოელო ბოლო, მაკრამ ბევრის მოსპობა კი ჯერეთ დიდს მხრებასა და მეცადინეობას თხოულობს მთაერობის მხრით. ამ სამიოდე წლის წინეთ ზემო იმერეთში გავრცელებული იყო ყაჩალობა, ოჯახების აკლება. აწილება და ხშირათ კაცის კვლაც. ამ საზიზღარმა საქმემ პირველათ ხარაგაულის საბოქაულოში იჩინა თავი და, რადგან მაშინდელმა ამ კუთხის ბოქაულმა (რომელსაც აკაცების მიზეზთ სიღარიბე მიაჩნდა და არა თანშობილი ბიძრეკოლება ზოგიერთა ვაჟბატონებისა აც-კაცობისადმი) დიდი გულკეთილობა გამოიჩინა ბოროტი კაცების შესხებ, ამიტომ ყიჩალობა თითქმის ყოველ-დღიურ მოვლენათ შეიქმნა მთელს ზემო იმერეთში. სულ სხვა გზას დაადგა ახალი ბოქაული ბ. წ.-ლი და დღეს თუმც ჩენ კუთხეზე არც ის ითქმის, რომ თხა და მკედა ერთათ სძოვდეს, მაგრამ აღარც ისეთ ბარბაროსობას ვხედავთ, როგორსაც ამ ორიოდე წლის წინეთ დღე მუდამ ვხედავთ. ამ ნაირათ თუმცა ერთნაირი ბოროტი კაცები ითოვებიან, სამაგიერო მეორენი, სოფლის მატუგარა ექიმები კი, პირ-იქათ, აძლიერებენ თავას უმეცარი ხალხ-სათვის დამღუპელ მოქმედებას. ერთმა ლმერთმა იცის, რამოდენი კაცი ულროვოდ გამოიუახოვებიათ წუთი სოფლისათვის ამ სულზე ხელაღებულებს. საუბრედურო, ნაწავლი ექიმები და აუთიაქები ერთობ ხელ-მიუწვდომელი არიან სოფლის დარიბი ხალხისათვის. ხშირათ ერთი აპაზის წამლის გამოსაწერათ ექიმს ერთი მანეთი უნდა მისცეს კაცმა და სოფელში ექიმის წაყვანას ხომ ასში ერთი ვერ შეიძლებს. ამიტომ გულდათუთქული ავადმყოფის პატრონი ისევ სოფლის ექიმს ეტანება, რომლის წამალიც ავადმყოფს არა თუ უხდება, ხშირათ ვნებასაც ად ლექს. სავალალი ის უფროა, რომ სოფელში ხშირათ ისეთი ადამიანი, რომელმაც თავისი პირის რიგინათ დაბანაც კი არ იცის, უმეტესად ავადმყოფის მორჩენას კისრულობს, თუმცა წამალს ცველას ერთნაირს აძლევს. მე ვიწოდდი ერთს მო-

ხუც დედა-კაცს, რომელიც დღეში ათ-თარმეტ პოთლ შექრით დამტკარსა და რაღაც საკამატია გავითალ-სუნთქლებულ წყალს მანც გაასაღებდა, სულ თათა მანეთად ბოთლს. უთანათანმა მეტა-მეტი ტკბილი და კარგი ბარგის წამლების შემთხვევა იცია“, — ამბობდენ სოფულელები და თინათ-წირკ ცველას ტკბილ წამალს აძლევდა. ეს კი უნდა სთქვაუ კაცმა, რომ თინათინის წამალი, თუმცა არავის რეგბდა, არც ენება აძლევდა. საუბელურიათ, ამას ვერ ვიტყვით გამოჩენილ ხარურები ე. ეა მაძექე, რომ მდგრადი საიქითს გამგზარა თამა ორჯუნიერება. აი როგორ მოხდა ეს:

შემდეგ სკოლაში წერა-კითხეის შესწავლისა, თომა ჭიათურაში დადგა პრიკაშჩიკათ და აგერ სამი წელიწადია თევში 15—20 მანეთი შემოქმნდა და მოხუც მშობლებს ასახრდოებდა. ამას წინეთ თომა ჭიათურიდამ ლორეშაში წამოსულა, გზაზე შესცირებია და ყბებს ქვეშ რაღაც ჯირულები გასწინია, მშობ-ლებს ორიოდე ბოთლი ტკბილი წამალი დაუღევ-ნებიათ, მაგრამ ჯირულები არ გაძერალა. რადგან ტანში ტკიფილს არას გრძნ-ბდა, მაღლ ისევ ჭია-თურაში დაბრუნდა თომა. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში მას შევეღორდა ჭიათურაში ვიღიაც ვაშაც, რომელსაც, დაენახა რა თამასოფის ჩამოსიერებული ყბები, ეკითხა: რაზედ გაგიჩდა ეგ ჯირულებით. პასუხის მიღების შემდეგ ვაშაცეს გამოეცას და ღრჯობიკიდისათვის, რომ ევ უბრალო ჯირულები კი არა, დურბელია და ჩემი ხელობაც მაგის ექიმობა არისო. შეეცდანა საწყალი ახალგაზდა კაცი და წაეყვანა საექიმოდ სოფელ ჩანა. ხუთი მანეთი გამოერთმა, თუთხმეტი მანეთის მიცემაზე ბარათი ჩამოერთმა და დაეწყო ექიმისა. დაქსერა ტკაცანი ადგილები, წაესო ზედ რაღაც ვაზელინის მაგაცი წამალი და ეთხობია: ამ წამალში რამოდენიმე ნაწილი მარდიმეში ურევია და ის თვისება აქვს, რომ ჯირულების ძირიანად ამოურისო. ამის შემდეგ თომა სოფელს ცეკვერში წამოსულა თავის ბიძა ჯიბა წერეთელთან და გზაზე რაღაც სისუსტე უკრძნია. თრი დღის განმავალობაში მთლიად გასივება კისერი, მკერდი და ფეხებიც, ხოლო იმ ადგილზე, საღაც ექიმის წამალი წაესო, გასჩენოდა ვებერთელი იარა. ცატხალ-მკედარი თომა მამამ ვა იანვარს ღამის დარეშაში ჩამოიყვანა და ორ თებერვალს, დილით საცოდავმა დიდ ტანჯვაში სული ცველას ერთნაირს აძლევს. მიცემებული, როგორც

შნახველები ამბობენ, მალე ნახშირიკეთ გაშავდა  
სახსრებში დაიხსნა, დაწმოლდა და საშინელი ცუჯი  
სუნი ასდინდა, ოუმეა იმ ხანად ჩენენში 4—5 გრა-  
ფიურ სიცივე იყო. მიცეალებულის მავას ექიმისათვეს  
საჩირის განტხადება უნდოდა, მაგრამ შეშინდა მი-  
ცეალებულს გამიწვალებენ და სხვა არაფერი გამოდ-  
ნებათ. ამატომ ამ საქმით გულწატკენ ჩემ გულას  
ტყიუილს მეითხელ საზოგადოებას უზიარებ იმ  
იმედით, რომ, თუ ასეთი ბორბოტება თვით მთავრო-  
ბამ არ მოსპო, ეგების ამ საჩრდენო ამბაემა ზოგი-  
ერთები მაინც მოარიდოს სოფლის მატყუარა ექიმებს.

ს. ჭ—ძ.

### ჩემი სურვილი.

მსურს შესუსტდეს დაწყევლილი  
დალა უსამართლობისა  
და დამყარდეს ქვეყნად ხანა  
სათნოების, მშეიღობისა,  
რომ კაცი გზასა უნათებდეს  
სხივი ჰეშმარიტებისა,  
ამშენებდეს წმიდა მცნება  
ქმობისა და ერთობისა,  
რომა სუსტი ძლიერისგან  
აღარ დაიჩარებოდეს,  
ნაყრდებოდეს ლომი ცხვართან  
და ბატყანიც მგელთან ძოვდეს.  
მსურს, შესწყდეს ხმა თოვ-ზარაზნის,  
გულის მემერი, შემაწუხი,  
ხალხსასნობამ შეიძულოს  
ომი, ხელისა ჩახა-ჩუხი,  
რომ ძმა ძმის სისხლს აღარ ღერიდეს,  
როგორც მხეცის სისხლს ღვრის მხეცი,  
და სტებოდეს მშეიღობისა  
ნაყოფითა კაცად კაცი.  
მსურს, აღყვაგდეს ჩენენის შრომით  
საყვარელი ჩენენი მხარე,  
და უმღერდენ უკვდავების  
ინას ნანას მზე და მთვრე.

ღლ. ჩერიბელისპირელი.

\*\*

(უსულადგან ღ. უ. ჭ—კომ).

ლათინური და ბერძნული  
მაწვალებულ მე ათ წელსა;  
გამუშმებულ ბეჯითობამ  
დამამსგაცა ნაფორ ხმელსა.

ეხლაც კიდევ, გეფიცებით,  
შემაცინებს, გამმაქროლებს,  
რა ვიგონებ ციცერონსა,  
ჰომილოზის «გეკზამეტრებს».

ბეგრს ღამეს არ მძინებია,  
ვეგბარობდი უცხა ლექსებს,—  
ესრე ტანჯვით ვატარებდი  
შაგირდობის ჩემია დღეებს.

მარასალია, დავიტანჯვე,  
ბეერჯველ ვწევლე ჩემი ბედი,  
მაგრამ მაინც მშენიერი  
მე «კლასიკი» გამოვედი.

გამოვტყდები, ძლიერ სუსტად  
მე რუსული ენა ვიცი,  
ლათინური კი—მშენიერად;  
ამას აღარ უნდა უიცი.

და, ჩემი საუბარი  
წუ იქნება დაწყობილი,  
მაგრამ მთელი «ილიადა»  
ზეპირად მაქვს დასწავლილი.

ცხოვრებაში შევდგი ფეხი  
დასუსტებულ სხეულითა,—  
თან მრაცხენია, რომ დავდივარ  
ცარიელი\* მე თავითა...

ამისდა მიუხედავად  
—და ეშვაკის საცინელად,—  
პედაგოგთა «მწიფედ» მიცვნეს  
სულიერად, ხორციელად.

ღლ. ჩერიბელ ს-პირელი.

## აზალია აშპები და შენიშვნები.

ოფიციალურად გამოტაციებულია: სელმშივე მექენიზმი და მექანიზმი 8 აპრილს დაინიშნა გენერალის შეინდენს ალისაზე.

გეომანის, ასტროის და ინგლისის გაზეობის სისახულით ეგებებიან მექენიზმი ცენტრულის პრინციპს აღისაზე დანიშნას.

როგორც ისმის, უწმიდეს სინოდს განკარგულება მოუტოვნია, რომ ყველა მამათა და დედათა მონასტრებთან დარსებულ იქმნეს სკოლები გლეხის შეილებისათვის.

სასურველია, რომ ეს მშევრიერი განკარგულება უწმიდესის სინოდისა მაღა მოვიდეს სისრულეში. ძელ დროში ყველა ჩენ მონასტრებთან არსებობდნენ სკოლები, სადაც მონასტრის ახლო-მახლო ზემოერებთა შეილები სწავლაბდნენ წერა-კითხეს, საეკლესიო წიგნების კითხეს და გალობას.

ამ კოტა ხანში, როგორც რუსეთის გაზეობი გვაცნობებენ, ფრანსეთა მენისტრი აპირებს აზრი შეიტანოს სახელმწიფო რჩევაში, რომ შემცირებულ იქმნეს სახელმწიფო გადასახალი, რომელიც დადებულია რეინის გზით მიმომსელებლთა ბილეთებზე.

1896 წლისათვის მსოფლიო გამოფენის გამართვას აპირებენ რუსეთის ქალაქ ნიჟნი-ნოვგორიდაში. ავ გამაფენისათვის ნაანგარიშევი აქცით ხარჯი 4,321,000 მანეთი.

1892 წლის განმავლობაში ოც-და-ორმეტ-ჯერ დასწეს ქალაქის ფულები. სულ დასწეს 122,197,587 ფურცელი 583,690,982 მანათისა. ჭალბი ქალაქის ფული პირები იანგრისათვის 1892 წ. ინახებოდა ბანკში 12,158 ფურცელი, 129,086 მანეთისა. წლის განმავლობაში კიდევ შემოიდა 1,174 ფურცელი, 9,941 მანეთისა; იმათვან დაწეს 3,682 ფურცელი, 39,379 მანეთისა; დარჩა პირველი იანგრისათვის 1893 წ. 9,938

ფურცელი, 103,744 მანეთისა. სულ ყალბი ქალაქის ფულების ხმარებაში შემოსულისა 1 იანგრამდე 1893 წ. შემომსულია 168,814 ფურცელი, 1,542,155 მან.; აქედან დაიწეა 131,664 ფურცელი, 1,207,141 მანეთისა, 27,212 ფურცელი, 231,270 მან. იმექანიზმიან გამოძიების საქმებში და 8,838 ფურცელი, 103,744 მანეთისა ინახება ბანკში.

ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სამზარეულო სჯულის შაწავლებლად დანიშნულ იქნა ელალიკავეგის საკურებულო ტაძრის მღველი ღვთის მეტყველების კანდიდატი მ. ი. ტუგარინოვი.

26 აპრილს ქუთაისში სამზარეულო სამსაჯულოში გაარჩია სოფელ ოფიშეკითის მცხოვრების თავადის ანდრია ზ. ნიუარაძის საქმე, რომელიც ბრალდებოდა მუხიანის რეინის გზის სადგურის უფროსის დაჭრა. სამსაჯულომ ბრალდებულს ნიუარაძეს გარდაუწყიტება ჩამოხსებობა, მაგრამ ზოგიერთ პატივ სადებ მიზეზთა გამო სამსაჯულომ იშუამდგომლა კავეკისის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ ბრალდებულს ეს სასჯელი შემცირებოდა. მთავარ-მართებელმა შეიწყნარა სამსაჯულოს შეამდგომლობა და დამწაშევს დახრჩიბის მაგიერ გალაუწყვეტა 15 წლით კატორგაში გაგზავნა.

1888 წლიდან თბილისში გამოდის გაზეთი «მეტრე». ეს გაზეთი დღემდე სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ჯეროვნად ყერ ასახულებდა თავის დანიშნულებას. დღეს ამ გაზეთში ბ. ილა ჭყონიას მეთაურობით მონაწილეობას იღებენ: აგრძობები, ტეხნიკისი, ექიმები და მეცნუტკრეობის მცოდნე პირი. ამ თანამშრომლების შემდეგ ამ გაზეთს სიცოცხლე მოემარა და საინტერესო საკითხაცი შეიქნა თავისი შინაარსით. ბ-ნი ი. მ. ჭყონია ცდილობს; რომ ამ გაზეთის ბეჭედა გაღმიატონოს ქ. ქუთაისში და ამის შესახებ მას თხოვნაც მიუკია უ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის. იმედია ბ. ჭყონია ამ ნება-რთვას მიიღებს და ამით მას შეძლება მიეცემა მომზეტებული ყურადღება მიაქციოს ამ გაზეთის შინაარსის განკარგებას.

თუ რამდენად საჭიროა სამეურნეო ცოდნის

ჭავრ კელება ჩევნ ღარიბ ქეყანაში, ეს, ვგონება,  
აველისათვის ცხადი უნდა იყოს. ამიტომ სრული  
ღარწმუნებული გარე, რომ ჩევნი სამღელოება,  
რომელიც ახლო დგას წალხთან, დახსრებას აღმო-  
უჩენს ბ. ჰუნიას მის კეთილს და ქეყნისათვის  
სასარგებლო საქმეში. სამღელოებას ამ გაზიერის  
შემწერბათ შეუძლია სამრევლოებში გაავრცელოს  
სხევა და სხვა სამეურნეო და საზიგინო ცოდნა,  
რითაც დიდ სამსახურს გაუწევს ჩევნს მხარეს.

შოაზლოვდა მაისი და შეიქნა ჩეკენს დალოც-  
უილს ქუთაისში გაცხარებული ფაცი-ფუტი ვექილო-  
ბების და კრისტების მოპოვებისათვის. გასაკვირრელი და  
ლროს ნიშანი ის არის, რომ ამ ქამად უფრო მეტად  
ფაცურობენ ტფილისელების აგენტები ქუთაისში,  
უილრე ქუთათურ მოლვაწეთა დანდობილი. ჩეკენ  
ნამდგილად ვიცით, რომ ერთი ტფილისელი მოლვა-  
წის აგენტებმა ქუთაისის მსესხებლები, რომელთაც  
მამული ბეჭში აქვთ დაგიავებული, შეტის-მეტად  
შეაწუხეს ლიტინით, რომ ვექილობა მოგვეცითო,  
ოთხემ საქართველოს დაღუპეაში თქვენც ბრალი  
დაგედებათო და სხვ... ნამდვილად ვიცით ისიც,  
რომ ზოგან კილეც გაუჭრია მათს მშევრმეტყველებას.  
ამასთან ჩეკენს ზეობრივ მოვალეობად ვთვლით  
ისიც მოვალეობით, რომ არც ერთი ზემორე ხსენე-  
ნებული აგუნტები თ. ი. მაჩაბლის არ ყაფილა,  
რასაც მოწმობს «ივერიის» მშევრმეტყველური დუ-  
მილიც ქუთაის დან ვექილობების გაზიდვის შე-  
სახებ.

სოფლის საწამლის მთავრი-ან გელოზის ეკულე  
სიის მღვდელი მ. დავით გველესიანისგან ჩეენ მი-  
კილეთ შემტყევი წერილი.

၆၂၈၈၁။ ၁၇၃၄ ခုနှစ်၊ မြန်မာနိုင်ငြပ်၏ အမြတ်ဆင့် လျော့လွှာ၏ အကြောင်းအရာ။

ମାତ୍ରା କ୍ଷେତ୍ରାନ୍ତିକରଣ ।

ମେ ଢାଇଗୁଟିକ୍ସ୍ ଟଙ୍କେସ୍ କାତ୍ରାପ୍ରେମିଲ୍ ଗାହେ ମହ୍ୟେ-  
ସିୱୀଳ ମେ-୨ ଲେ-୩୦, ରୂପ ଟଙ୍କେସ୍ ଗନ୍ଧୋରେନ ଶ୍ଵାଗୁଣ୍ୟ  
ସିଦ୍ଧିରୀଳାଙ୍କ ମହ୍ୟେ-ସିୱୀଳ ଗାହେରେନ ଲା ଟଙ୍କେସ୍ ଗାହେଟାନ  
ଢିଗନ୍ଦ୍ରେଖ୍ସାପ ଶ୍ଵାଗ୍ରହିତ ଲା ଗାମାମପ୍ରେମଲ୍ଲେଖ୍ସାପ ଆଖ୍ୟୁପତ,  
ରୂପ ନେ ଲାଇଶ୍ଵର୍ଯ୍ୟେନ ତାଏଗାନତ ଗାମନପ୍ରେମାବ. ହେବିଲ୍  
ମେରିତ ଉପରୁକ୍ତାଲ୍ପତ ମି କାନ୍ତାପ୍ରେଲ୍ଲେଖ୍ସ, ରାଜେଲ୍ଲିପୁ ଶ୍ଵାଗୁଣ୍ୟ  
ସିଦ୍ଧିରୀଳାଙ୍କ କାରତ୍ତୁଲ ଢାଇଗ୍ନ୍ଦ୍ରେଖ୍ସ ତଥାରୁଲାନ୍ଦ୍ରେନ ଲା ମାତାନ  
ପ୍ରେଲ୍ଲା ମି ସକ୍ରିୟାର୍ଥୀର୍ଥେଖ୍ସ, ରାଜେଲ୍ଲେଖ୍ସାପ ଦିବଲୀପିତର୍ଯ୍ୟେବା  
ଅକ୍ଷେତ୍ର ଶ୍ଵର୍ଣ୍ଣିକ୍ଷାର୍ଥୀର୍ଥେଖ୍ସି ଲା କ୍ଷାତ୍ରିମ୍ଭିତ୍ତିଶୀ, ପ୍ରେଲ୍ଲା  
ଗାହୁଶ୍ଵାଗ୍ରହି ହେବାନ ଗାମାପ୍ରେମିଲ୍ଲ୍ ଢାଇଗ୍ନ୍ଦ୍ରେଖ୍ସ ଉତ୍ସାହାଳ,  
ତୁ ରୂପ ମିଳିତ ଅର୍ଦ୍ଧସିଂହ ମନ୍ତ୍ରେହିସାତାନ୍ତର୍ବେ ନ୍ଯାଯିକର୍ତ୍ତବ୍ୟେକ  
ଫୁଲସ୍ତୁରି କାରାଜୀ.

ବ୍ୟାକାରୀତିକ୍ଷମାପ୍ନୋ.

ମୁଦ୍ରଣ କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ  
ଅଧିକାରୀଙ୍କ ଲାଇସେନ୍ସ ୫-୮ ୧୮୯୪ ଫେବୃଆରୀ

## ԿԵՊԻՑԱԽՈՒԹՅԱ ՏՐՈՎԵՐՆ

ଫୁଲିଯା

Է Խովսկին Կ'որսիւթեղ Ցղմղունավայրութեաց.  
Եցւնեկտա և ըլլուգուց չ.

**Բ** — Կղունեաքիր ցէնիկոդոպագունք.  
Եզրուկիմա Խըստիկուց Ճ.

ԿՊ — Կորուսկի և վաճառքային գումարը  
Եղանակի մաս Եղանակի պահանջման եղանակը ։

ԿՎ — կ'ըսուհացէկդ զինծնեց.  
Խըսուհանա Խըսացէկուց Բ

ԿՊ - Հ Յ Ա Խ Ա Վ Ա .  
Ե Ր Ա Ն Ի Խ Ա Խ Ա Վ Ա Ը Ա Խ Ա Վ Ա .

**ԿՓ** — Կորուսիւսկիդ լուծաբառք մաշնութ-  
իւսակիւնական խորովագույն Ա.

**Պ** . — Եպուա լունցի ձանդուաց.  
Եպուակիսա եպուամուց Յունեա.

816 ცხადება 60.

## სახელმძღვანელონი,

დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

**დ ე დ ე - ე ნ ი,** ანუ ანბანი და პირველი საკითხაები წიგნი, საცრო და სამრეკლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხების საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატაები სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუწერათ სყიდვა არც სახატაებისა და არც ფედნება. ვასი ისევ ექვემდებარების უფრო უდინოსი აბაზი. მს წიგნი მოწონებულია და მართულია ენის სახელ-მძღვანელოდ დაწინაურლი განათლების სამინისტროს მიერ და უშმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, უდინ 33 კაბ.

**გ უ ნ ე ბ ი ს კ უ რ ი,** ანუ საკითხაები წიგნი, უმცროს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემცირებული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილი წერა-კითხების საზოგადოების მიერ. ვასი ყდით თხინა-აბაზ უზალოუნი (90 კაბ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—ოუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—ოთხმეტ შაურად. მს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „შევენერების სახელმძღვანელო მართულის ენისა“ და აგრეთვე უშმიდესი სინოდისაგან.

**კ უ ნ ე ბ ი,** ანუ ანბანი და პირველი საკითხაები წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარილათ 8 კაბეკი.

**კ უ ნ ე ს საყმაწეოლო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდნ, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნალის ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, საკითხოდნისაგან.**

**კ უ ნ ე ბ ი,** ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვემდებარებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნიული, ანუ საყმაწეოლო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

ის ვნანები რს ჰქონება? მოთხრობა მოზრდილი ყმაწეოლებისათვის, ფასი ორი შაური.

სუმის მიზანი? საყმაწეოლო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

სპეციალის მშენები საყმაწეოლო მოთხრობა მეფე შრეველეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

მირითაში უკუღებისობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობას შესახებ კერძო აღმიანის და მთელის ერთს ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

**РУССКОЕ СЛОВО**, часть первая, издание четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплѣтѣ 40 копеекъ.

**РУССКОЕ СЛОВО**, часть вторая, издание третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплѣтѣ 50 коп.

**РУКОВОДСТВО** для учащихъ къ преподаванію русского языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Объ части «Русского Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библиотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденіемъ Господина Главноначальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженія по управлѣнію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(15—3)

**შინაგანი:** ქრისტეს აღდგომისა გამო—ზოგიერთ საერთო უკრანალ-გაზევების უნებლეთ შეცდომათ გამო.—სურათი აღდგომისა.—პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საუკრალებლოდ—პედაგოგიკის სტურილამ.—ახალი მსვერცლი მატერიალის სოფლის ექიმისა.—ლექსინი.—ახალი.—ამბები და უნიშნება.—საკალენდარო ცნობანი.—განცხადება.

რედაქტორი და გამოცემელი ლეკ. დ. ლამაშიძე. დოკ. ცენზური. კუთაისი, 29 აპრილი 1894 წ.

Типографія редакції (შ. დ. გამბაშიძე) Въ Кутаїსѣ, помѣщ. въ д. бр. Хапановыыхъ на Нѣмецкой ул.